შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“-ს
2023წლის საქმიანობის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ

2023 წელს შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“-ს შემოსავალმა შეადგინა 236142 ლარი მათ შორის სასმელი, სარეკრეაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტაერულ-ქიმიური გამოკვლევის პროგრამიდან 40000 ლარი.

ლაბორატორიულ კვლევის ცენტში სულ დასაქმებულია 15 თანამშრომელი, მათ შორის ხელშეკრულებით აყვანილია 1კაცი.

სახელფასო ხარჯმა შეადგინა 170504ლარი, მ.შ შტატ-გარეშე თანამშრომელზე გაიცა 11520 ლარი. სამივლინებო ხარჯი 4002ლარი, ოფისის ხარჯი 3506 ლარი, სამედიცინო ხარჯი 6658 ლარი, კომუნალური ხარჯი 3971 ლარი, ტრანსპორტის ხარჯი 11375 ლარი და სხვა ხარჯები 10517 ლარი, მ.შ. ლაბორატორიის ინსპექტირების ხარჯია 5255 ლარი და სულ ხარჯმა შეადგინა 215605 ლარმა,

2023 წელს სულ შემოვიდა საანალიზოდ 1538 ნიმუში, აქედან სასმელ წყალზე ჩატარდა ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა 1060 ნიმუშის. მ.შ. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის პროგრამით გამოკვლეული იქნა 312 ნიმუში.

გამოკვლეულ იქნა სახვადასხვა სახის პროდუქტების 161 ნიმუში, აქედან 14 თევზის, 93 ხორცის, 3 პურის, 30 მზა კერძის, 2 ძროხის რძე, 3 თევზის ზეთის, 13 თევზის ფქვილის და 3 ჰაერის ფიზიკო-ქიმიურ მაჩვენებლებზე. ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ხმაური გაზომილ იქნა 12-ჯერ

გამოკვლეულ იქნა 62 ჩამდინარე წყალის ნიმუში, აქდან მერიის პროგრამით 10; ზღვის წყალი 105 მ.შ. პროგრამით 60.

ჩატარდა ხელის და ინვენტარის ჩამონაბან- ჩამონარეცხის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა 145 ნიმუში;

ჩავატარეთ ქალაქის 14 საბავშვო ბაღში სადეზინსექციო და სადერატიზაციო სამუშაოები, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში 2300კვმ ფართს ჩაუტარდა ქვეწარმავლების საწინააღმდეგო შეწამვლა. ჩატარდა სამედიცინო პროფილაქ-ტიკური სამუშაოები, კერძოდ დეზინფექცია, დეზინსექცია და სადერატიზაციო სამუშაოები 10 სხვადასხვა დაწესებულებაში.

სასმელი წყლის 12 ნიმუშია გამოკვლეული ლეგიონელაზე.

კვების მრეწველობაში გამოყენებული ყინულის 24 ნიმუშს ჩაუტარდა მიკრობიოლოგიური გამოკვლევა

მომსახურება გაეწია როგორც ქ. ფოთის, ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის რეგიონების მუნიციპალიტეტების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებებსა და მოსახლეობას.

დირექტორი: Grigol Rukhadze 55001002879 Digitally signed by Grigol Rukhadze Date: 2024.02.16 17:29:37 /გ.რუხაძე/